

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

 ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 25 “ 11 “ 2013 წელი

ეგზ. № 2

ზორჯომის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში № 59/00

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ობიექტი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ინფორმაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესახებ.....	5
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები:.....	8
პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	8
გარემოება 1. სახელმწიფოსთვის გადაცემული ადმინისტრაციული შენობა	8
გარემოება 2. მუნიციპალიტეტზე გადაცემული შენობა	9
გარემოება 3. ბაკურიანის რიტუალების სახლის მშენებლობა.....	10
გარემოება 4. ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა	11
გარემოება 5. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი არაფინანსური აქტივები	12
გარემოება 6. დებიტორ-კრედიტორული დავალიანებები	13
გარემოება 7. ზედმეტი ღირებულებით აღიარებული ქონება	14
გარემოება 8. ფინანსური ანგარიშგების უზუსტობები.....	15
ფინანსური ანგარიშგება	17
ბალანსი ფორმა №1.....	17
ბალანსის დანართი ფორმა №2.....	20
ბალანსის დანართი ფორმა №2-1	22
ბალანსის დანართი ფორმა №3.....	23
ბალანსის დანართი ფორმა №5.....	24
ბალანსის დანართი ფორმა №5-1	28
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	29
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	29

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების¹ აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით

¹ ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით განსაზღვრული

უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესახებ


ბორჯომის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და

მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 10 020.9 ათასი ლარი, რომლის 98.5%-ს შეადგენს შემოსავლები, 1.5% არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები – 3968.8 ათასი ლარი²
- ✓ გრანტები – 2592.2 ათასი ლარი
- ✓ სხვა შემოსავლები – 3329.2 ათასი ლარი³

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად (მუნიციპალიტეტი გამოთანაბრებით ტრანსფერს არ ღებულობს):



ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ – „ნაშთის ცვლილებამ“, შეადგინა 5 560.7 ათასი ლარი.

2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 15 581.6 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 45% შეადგენს ხარჯები, ხოლო 55% არაფინანსური აქტივების ზრდა⁴.

² 2612.6 ათასი ლარი ქონების გადასახადი, ხოლო 1356.2 სხვა გადასახადებია

³ სხვა შემოსავლების დიდი ნაწილი (61%) მიღებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადახდილი მოსაკრებლიდან

⁴ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა არასწორადაა აღრიცხული. კონკრეტული შემთხვევები ასახულია აუდიტის ანგარიშში, პირობითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში, 2012 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები;
- ✓ გარე განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია;
- ✓ ბინათმშენებლობა (სახურავების შეკეთება და ფასადების რემონტი);
- ✓ სოფლის კლუბებისა და რიტუალების დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლების საიმედოობა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;
- ✓ ჩვენს მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები სათანადოდ ვერ ახდენს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არის ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების მთლიანად გადანაწილებასა და კოორდინირებას. მუნიციპალიტეტი ფლობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას,

ავტორიზაციის სათანადო დონეებით, მაგრამ იგი დანერგილია ნაწილობრივ⁵. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, შიდა კონტროლის სისტემები ნაკლებ ეფექტურად მოქმედებს, რის გამოც, ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები:

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზირებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;
- ✓ გრძელვადიან აქტივებზე ცვეთის დარიცხვა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების აღიარება ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე;
- ✓ დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გარემოება 1. სახელმწიფოსთვის გადაცემული ადმინისტრაციული შენობა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ქონება:

⁵ ფინანსური მონაცემების შეყვანისას არ ხდება მათი ერდროული ასახვა სხვადასხვა ანგარიშებში (ურთიერთკავშირი არ არის ბოლმდე დანერგილი). ზოგიერთი მონაცემების მიღება არ არის პროგრამულად უზრუნველყოფილი, მაგ. მიწოდებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და ვალდებულებები ოპერაციების მიხედვით და სხვა.

2010 წელს სახელმწიფოსთვის გადაცემულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა ფართით 3734 კვ.მ, ღირებულებით 167,4 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, აქტივი გამგეობის ბალანსიდან მოხსნილი (ჩამოწერილი) არ არის და 2012 წელს დარიცხულია ცვეთა 1.5 ათასი ლარის ოდენობით⁶.

გავლენა/შესაძლო გავლენა

- აქტივის გასვლის აღურიცხაობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში⁷ გაზრდილია „არაფინანსური აქტივების“ მუხლის ნაშთები, შესაბამისად, გაზრდილადაა ნაჩვენები „წმინდა ღირებულების“ ნაშთები ბალანსსა და ბალანსის დანართ №3-ში⁸.
- ცვეთის არასწორად დარიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართებში ფორმა №2-სა⁹ და ფორმა №5-ში წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლები მეტია ნაჩვენები.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტზე გადაცემული შენობა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხავია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ქონება:

მუნიციპალიტეტს 2011 წელს უსასყიდლოდ გადაეცა შპს „ბორჯომის სავაჭრო ცენტრი 2005“-ის საკუთრებაში არსებული, ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №5-ში მდებარე უძრავი ქონება (მეორე და მესამე სართული) საერთო ფართით 1703.4 კვ.მ. აღნიშნული ქონების ღირებულების თავდაპირველი შეფასება და აღრიცხვაში ასახვა არ მომხდარა. შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, თანხით 1300.0 ათასი ლარი, სადაც განთავსდა საკრებულოს და გამგეობის ადმინისტრაცია. შენობა აღრიცხულია ბალანსზე მხოლოდ კაპიტალური რემონტის ღირებულებით.

გავლენა/შესაძლო გავლენა

- გადმოცემული შენობის შეუფასებლობის და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მის აქტივად აღურიცხაობის გამო, ბალანსში და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში შემცირებულად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“

⁶ ანალოგიურდაა დარიცხული ცვეთა 2011 წელს 1.5 ათასი ლარის ოდენობით.

⁷ ფორმა № 5- ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

⁸ ფორმა № 3- ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

⁹ ფორმა № 2- ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

მუხლის ნაშთები, შესაბამისად შემცირებულადაა ნაჩვენები „წმინდა ღირებულების“ ნაშთები ბალანსში და ბალანსის დანართ №3-ში.

➤ შენობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და ერიცხება ცვეთა. რადგან შენობის ღირებულება არასწორად არის აღრიცხული, 2012 წელს მასზე დარიცხული ცვეთის მაჩვენებელიც არასწორია. ამ მიზეზით, ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართებში – ფორმა №2-სა და ფორმა №5-ში წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლები ნაკლებია ნაჩვენები.

გარემოება 3. ბაკურიანის რიტუალების სახლის მშენებლობა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ხარჯებშია აღრიცხული დაბა ბაკურიანში რიტუალების სახლის მოსაწყობად შეძენილი სამშენებლო მასალები. სულ ამ მიზნით 2010-2012 წლებში გახარჯულია 61.1 ათასი ლარი: 2010 წელს – 28.1 ათასი ლარი, 2011 წელს – 19.7 ათასი ლარი, 2012 წელს – 13.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი მასალები აღრიცხულია შემოსავალში, მარაგებში და შემდგომ ჩამოწერილია ხარჯებში „საქონელი და მომსახურება“ (საბუღალტრო ანგარიში N7200). პარალელურად, სარიტუალო სახლის მასალები აღებულია „ძირითადი აქტივების“ ანგარიშის დებეტში (საბუღალტრო ანგარიში №2100), „წმინდა ღირებულების“ (საბუღალტრო ანგარიში №5100) კრედიტთან კორესპოდენციით. აღნიშნული ბუღალტრული გატარებები არასწორია, რადგან სამშენებლო მასალა არ შეიძლება ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის (შესრულებული სამუშაოს აქტი, ფორმა №2) გარეშე ჩამოიწეროს ხარჯებში ან აღირიცხოს როგორც ძირითადი აქტივი (საშუალება).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით¹⁰, შეძენილი მასალები უნდა აღრიცხულიყო „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“-ს (საბუღალტრო ანგარიში №1627) ანგარიშზე და მის ხარჯვაზე შედგენილიყო შესაბამისი დოკუმენტი (შესრულებული სამუშაოს აქტი, ფორმა №2).

¹⁰ N19, N22 და N23 მუხლები.

შესრულებული სამუშაოები კი უნდა აღრიცხულიყო „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“-ს ანგარიშზე (საბუღალტრო ანგარიში №2140), ხოლო სამუშაოების საბოლოოდ დამთავრებისა და ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების) შემდგომ ეს ქონება აღიარებოდა ძირითად აქტივად და აღრიცხებოდა ანგარიშზე „შენობა-ნაგებობები“ (საბუღალტრო ანგარიში №2110).

სარიტუალო სახლის მშენებლობა ნაწარმოებია ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით და ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის. ამდენად, 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ამ მიზნით გაწეული ხარჯი აღრიცხული უნდა იყოს „დაუმთავრებელ ძირითად აქტივებში“.

გავლენა/შესაძლო გავლენა

➤ ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის დანართ ფორმა N2-ში „ხარჯების“ მუხლის ქვემუხლი „საქონელი და მომსახურება“ გაზრდილია ბაკურიანში რიტუალების სახლის მოსაწყობად შეძენილი სამშენებლო მასალებით – 13.3 ათასი ლარით.

➤ ოპერაციის არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა N5-ში, გაზრდილად არის ნაჩვენები „არასაცხოვრებელი შენობების“ და შემცირებულად – „დაუმთავრებელი მშენებლობა“ ქვემუხლები. აგრეთვე, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში წარმოდგენილი „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი გაზრდილდაა ნაჩვენები.

გარემოება 4. ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გამგეობის ბალანსზე აღრიცხულია ამორტიზებული ძირითადი აქტივები: სახანძრო ავტომანქანები, ტრაქტორები, კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა ინვენტარი. ამ ქონების პირვანდელი (ისტორიული) ღირებულება 104.3 ათასი ლარია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით¹¹, სრულიად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი ქონება აღრიცხული უნდა იყოს ბალანსის საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (08), საწყისი (ისტორიული) და არსებითი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით.

გავლენა/შესაძლო გავლენა

➤ გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის საცნობარო მუხლში წარმოდგენილ ინფორმაციის სისწორეზე, იგი შემცირებული თანხითაა წარმოდგენილი.

გარემოება 5. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი არაფინანსური აქტივები

მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, მარაგების ნაშთებში, აღრიცხულია 129.7 ათასი ლარის ღირებულების ლამპიონები. აღნიშნული ლამპიონების ნაშთის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ გაცემული ცნობით ირკვევა: აღნიშნული მატერიალური ფასეულობა შეძენილია 2007 წელს¹², რომელიც, შენახვის პირობების დაცვით, გადაეცა შპს „გარე განათებას“¹³; გარე განათების სამუშაოების შესრულების დროს, ლამპიონები გადაეცა ამ სამუშაოებზე მომუშავე მშენებლებს¹⁴ და დამონტაჟდა განათების ბოძებზე. ლამპიონების ჩამოწერა არ მომხდარა.

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, მარაგებში ნაშთად აღრიცხულია 9.5 ათასი ლარის ღირებულების ჰიბრიდული სიმინდის თესლი¹⁵, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მთავარი ბუღალტრის განმარტებით, არ მოხდა მისი ჩამოწერა, რადგან არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

¹¹ მუხლი 43, პუნქტი 9

¹² შპს „მშენებელი XXI“ -საგან 80.5 ათასი ლარის, ხოლო შპს „პროფსერვისი“-საგან 49.2 ათასი ლარის

¹³ დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის მიერ (100%)

¹⁴ ინსპექტირების ჯგუფის წევრის თენგის ზაზაშვილის განმარტებით, მასალები (დოკუმენტაცია) შესასწავლად წაღებული აქვს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურას.

¹⁵ 2011 წლის 19 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტი

მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესის¹⁶ შესაბამისად, არაა ჩატარებული მარაგების ყოველწლიური ინვენტარიზაციები.

გავლენა/ შესაძლო გავლენა

➤ ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა N5-ში „არაფინანსური აქტივების მუხლით“ არასწორადაა გაზრდილი არაფინანსური აქტივების ღირებულება.

გარემოება 6. დებიტორ-კრედიტორული დავალიანებები

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 102.8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 3 წელზე მეტი ხნის წინ, მათ შორის: მოქანდაკე გიორგი წულაია, ავანსად ჩარიცხული ქანდაკების ღირებულებით, 85.0 ათასი ლარი, წარმოშობილი 2004 წელს. აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით გამგეობის მიერ მოგებულია სასამართლო დავა და საქმე გადაცემულია აღსრულებაზე; დებიტორებში ირიცხება აგრეთვე 2007 წელს წარმოშობილი უიმედო (გაურკვეველი) დავალიანებები: „ყინულის ფესტივალი“ – 11.0 ათასი ლარი და „წიგნები“ – 6.8 ათასი ლარი, რომლის წარმოშობის საფუძველი ვერ დადგინდა.

მუნიციპალიტეტის მიერ 17.8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანების რეალობა დადგენილი არ არის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული წესით¹⁷ გათვალისწინებული დავალიანების ინვენტარიზაციები ჩატარებული არაა. ვერ იქნა წარმოდგენილი დავალიანებების დასტურის წერილები და არც ურთიერთშედარების აქტებია შედგენილი.

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 2007 წელს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების სახითაა აღრიცხული ი/მ „სოსლან ჯიშკარიანის“ მიერ შესრულებული სამუშაო აუნაზღაურებელი თანხით 4.9 ათასი ლარი.

¹⁶ ფინანსთა სამინისტროს 1996 წლის 1 გვისტოს დებულება №3 „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ (№12-03) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“

¹⁷ ფინანსთა სამინისტროს 1996 წლის 1 გვისტოს დებულება №3 „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ (№12-03) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით¹⁸, ეს კრედიტორული დავალიანება¹⁹ უნდა აღრიცხულიყო ბალანსის საცნობარო მუხლში „ვადაგადაცილებული დავალიანებები“ (09).

გავლენა/ შესაძლო გავლენა

➤ ბალანსის საცნობარო მუხლი „ვადაგადაცილებული დავალიანებები“ არ არის გაზრდილი შესაბამისი დავალიანებების თანხებით.

გარემოება 7. ზედმეტი ღირებულებით აღიარებული ქონება

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებში აღრიცხულია საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები²⁰.

შპს „მშენებელი XXI+“-ს 2012 წელს შესრულებული აქვს სხვადასხვა შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები. შესრულებულ სამუშაოებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომლითაც დადგინდა 287.4 ათასი ლარის ფაქტიურად შესრულებული სამუშაო, რომელიც დაექვემდებარა ანაზღაურებას.

მუნიციპალიტეტის მიერ აქტივად აღიარებულია 295.5 ათასი ლარი, რომელიც მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურდა. ამდენად, აქტივში ზედმეტი თანხითაა აღიარებული და ანაზღაურებული 8.1 ათასი ლარის ქონება.

გავლენა/ შესაძლო გავლენა

➤ აქტივების არასწორი თანხით აღიარების გამო ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსში და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლები გაზრდილია შესაბამისი თანხით.

➤ მიმწოდებელზე ზედმეტად ჩარიცხული თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არ არის გაზრდილი „ფინანსური აქტივები და მოთხოვნების მუხლი“.

¹⁸ მუხლი 30, პუნქტი 27.

¹⁹ საანგარიშო 2012 წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი

²⁰ შესრულებული 2012 წელს

გარემოება 8. ფინანსური ანგარიშგების უზუსტობები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის №105 ბრძანებით შეტანილია ცვლილება ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების დამტკიცებულ ფორმებში²¹, კერძოდ, ანგარიშგების ფორმებს დაემატა ფორმა №5-1 „ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ“. შეიცვალა ბალანსისა და ბალანსის დანართების სტრუქტურა.

მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ცვლილება გათვალისწინებული არ იყო. აუდიტის მიმდინარეობისას, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ხელახლა შედგენილ იქნა ანგარიშგება. შედეგად, წინა ანგარიშგებაში გამოვლინდა უზუსტობები:

- ✓ ბალანსში „არაფინანსური აქტივების“ ნაშთები არასწორადაა ნაჩვენები, წლის დასაწყისისათვის ნაკლებობით 4.0 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსთვის მეტობით 2.9 ათასი ლარი. შესაბამისად, შეცვლილია „წმინდა ღირებულება“.
- ✓ ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ფორმა N2) დაშვებულია უზუსტობები, ფაქტიური ხარჯი 605 ათასი ლარით შემცირებულადაა ნაჩვენები.
- ✓ აღნიშნული უზუსტობების გათვალისწინებით და მონაცემების არასწორად შეტანით ანგარიშგების ფორმების „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ფორმა №3) და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ფორმა №3) არ შეესაბამებოდა ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებულ მონაცემებს.

²¹ დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი

ფორმა №1

აქტივები	ანგარიში ს ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისის თვის	ნაშთი წლის ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120	7379080	1788410
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
დეპოზიტები ბაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
დეპოზიტები ბაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
ბაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
სხვა ანგარიშები ბაზინაში	1290		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
მოკლევადიანი სესხები	1320		
აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
გადახდილი დღგ	1356		
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
სხვა საგადასახადო აქტივი	1358	56	8
მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
მოთხოვნები ბარტერით	1410		
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	628388	117500

გრძელვადიანი სესხები		1510		
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები		1520		
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		1530		
II. არაფინანსური აქტივები				
სტრატეგიული მარაგები (საწვავი)		1610	3172	14733
სხვა მატერიალური მარაგები		1620	178075	180295
შენობა-ნაგებობები		2110	13779922	18732081
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		2120	2695308	5807278
სხვა ძირითადი აქტივები (წიგნები)		2130	368688	368688
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი (სატრანსპორტო საშუალებები)		2140	631524	726979
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		2200		
ფასეულობები		2300		
არაწარმოებული აქტივები		2400	1701532	1726377
	ბალანსი		27335745	29462349
ვალდებულებები და კაპიტალი		ანგარიში ს ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის ბოლოს
I. ვალდებულებები				
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები		3100		
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები		3210	940	
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები		3220		
ვალდებულებები ბარტერით		3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი		3241		
გადასახდელი დღგ		3242		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		3243		
სხვა გადასახდელები		3244		
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით		3245		
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები		3246		
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები		3251		
შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები		3252		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით		3253		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ		3254		
დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები		3255		
დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები		3256		
ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით		3257		
გადასახდელი სტიპენდიები		3258		
სოციალური დაზღვევის ანარიცხები		3259		50
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ		3260		
სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები		3270	3691	
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები		3280		11
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		3300	971566	820954

II. კაპიტალი				
წმინდა ღირებულება		5100	26359548	28641334
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		5210		
გაუნაწილებელი მოგება		5220		
დაუფარავი ზარალი*		5230		
	ბალანსი		27335745	29462349
III. საცნობარო მუხლები				
საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02			
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	190801		266529
პირობითი მოთხოვნები	05			
პირობითი ვალდებულებები	06			
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08			
ვადაგადაცილებული დავალიანებები	09			
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10			

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
2	4	5	6	7	8	9	10
1. ხარჯები	4817400	7518822			7000782	8001451	
1.1 შრომის ანაზღაურება	810000	1046320			1027672	1027672	
ხელფასები	810000	1046320			1027672	1027672	
ხელფასები ფულადი ფორმით	670400	798482			785702	785702	
თანამდებობრივი სარგო							
წოდებრივი სარგო							
პრემია	117800	224288			218620	218620	
დანამატი	21800	23550			23350	23550	
პონორარი							
კომპენსაცია							
ხელფასები სასაქონლო ფორმით							
1.2 საქონელი და მომსახურება	2307500	2789126			2592017	2477337	
შტატგარეშე მოძუშავეთა ანაზღაურება							

მივლინებები	24200	24200			9784	9784	
ოფისის ხარჯები	523800	566700			476554	474118	
წარმომადგენლობითი ხარჯები	20000	36000			11642	11642	
კვების ხარჯები							
სამედიცინო ხარჯები							
რბილი ინვენტარის, და უნიფორმის შეძენის და პირადი ჰიგიენასთან.	15000	15000			15000	15000	
დაკავშირებული ხარჯები							
ტრანსპორტისა და ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები.	256100	297220			283927	171683	
მოვლა-შენახვის ხარჯები							
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები							
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება							
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	775405	
1.4 პროცენტი	75600	74999	-	-	74991	74991	
1.5 სუბსიდიები	1155700	1304150			1278422	1278422	
1.6 გრანტები							
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	393000	583230			563583	563583	
1.8 სხვა ხარჯები	-	1645998	-	-	1389106	1804041	

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო	
	წლიური გეგმით	ფაქტიურად	წლიური გეგმით	ფაქტიურად
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	162	162		
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა				

ბალანსის დანართი ფორმა №2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვ ნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	57800	90109326			8580785
1.1 ძირითადი აქტივები		90109326			8580785
1.1.1 შენობა-ნაგებობები		8775856			8266979
<i>1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები</i>					
<i>1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები</i>		698336			492783
<i>1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები</i>					
<i>1.1.1.4 ქუჩები</i>		2812690			2637197
<i>1.1.1.5 გზები</i>		3828650			3765395
<i>1.1.1.6 ხიდები</i>		555180			510265
<i>1.1.1.7 გვირაბები</i>					
<i>1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები</i>		272000			266734
<i>1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები</i>		80000			79915
<i>1.1.1.10 მილსადენები</i>					
<i>1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები</i>		530000			514690
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	57800	332470			313806
<i>1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები</i>					
<i>1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი</i>	57800	332470			313806
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშ ის№	დებეტი	თანა	ანგარი შის№	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	26359548
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1027672	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	
7200	საქონელი და მომსახურება	2477337	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	პირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	10077208
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	775405	6300	მ.შ. გრანტები	25662159
7400	პროცენტი	74991		მ.შ. გადასახადები	3968800
7500	სუბსიდიები	1278422		სოციალური შენატენები	
7600	გრანტები		6400	სხვა შემოსავლები	3546249
7700	სოციალური უზრუნველყოფა	563583	6450		
7800	სხვა ხარჯები	1804041			
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	1550071		აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	1756100
1300- 1400	ფინანსური აქტივები		1300- 1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	1550071	1600- 2000	არაფინანსური აქტივები	1756100
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	9551522		საკრედიტო ბრუნვა	11833308
	სულ ჯამი:**	9551522		სულ ჯამი:***	38192856
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	28641334

ბალანსის დანართი ფორმა №5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

მ ი ლ ე ბ ა										
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	ბარტერით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეული და უსასყიდლოდ	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	*სხვა მიღებები
მატერიალური მარაგები	181247	182218		16270	-	-	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები										
სხვა მატერიალური მარაგები					-	-	-	-	-	-
ნედლეული და მასალები	138925			15244						
დაუმთავრებელი წარმოება										
მზა პროდუქცია	9450									
შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი										
ფულადი დოკუმენტები	3172	182218		1026						
სათადარიგო ნაწილები										
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები										
ძირითადი აქტივები	17475443	8835680		1726141						
შენობა-ნაგებობები	13779922	519551		1548412						
საცხოვრებელი შენობები										
არასაცხოვრებელი შენობები	3449471	522986		1518272						
საგზაო მაგისტრალები										
ქუჩები	333650	26371297								
გზები	3327700	9883364								

ხიდები	282150	510265								
გვირაბები										
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	2592100	266734								
ელექტროგადამცემი ხაზები	597871	79915								
მილსადენები										
სხვა შენობა-ნაგებობები	3196980	514090		30140						
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3326833	316129		177729						
სატრანსპორტო საშუალებები	631524	63685		139340						
სხვა მანქანა-დანადგარები ვენტარი	2695309	325244		38389						
სხვა ძირითადი აქტივები	368688									
კულტივირებული აქტივები										
არამატერიალური ძირითადი აქტივები										
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი										
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები										
ფასეულობები										
ძვირფასი ქვები და ლითონები										
ხელოვნების ნიმუშები										
სხვა ფასეულობები										
არაწარმოებული აქტივები	1701532			29959						
მიწა	1701532			29959						
წიაღისეული										
სხვა ბუნებრივი აქტივები										
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია										
სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები										
არაწარმოებული არამატერიალური აქტივები										

გ ა ს ვ ლ ა																
არაფინანსური აქტივების დასახელება	გაყიდვით	ბარტერით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები სასაქონლო ფორმით	სუბსიდიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
მატერიალური მარაგები		-	12624								400			171683		195028
სტრატეგიული მარაგები																
სხვა მატერიალური მარაგები		-														
ნედლეული და მასალები			12624								400					141145
დაუმთავრებელი წარმოება																
მზა პროდუქცია																9450
შემდგომი რეალიზაციისათვის შემძენილი საქონელი																
ფულადი დოკუმენტები														171683		14733
სათადარიგო ნაწილები																1200
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები																28500
ძირითადი აქტივები	76762	-	1550071										775405			25635026
შენობა-ნაგებობები	63424	-	1550071										502309			18732081
საცხოვრებელი შენობები																
არასაცხოვრებელი შენობები	63424												68870			5358435
საგზაო მაგისტრალები																
ქუჩები			1550071										65240			2905607
გზები													102239			2663754
ხიდები													52240			740175
გვირაბები																
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები													72240			2786594
ელექტროგადამცემი ხაზები													51239			625547

მილსადენები															
სხვა შენობა-ნაგებობები												90241			3650969
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	13338	0										273096			6534257
სატრანსპორტო საშუალებები	11200											96371			726978
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2138											176725			5807279
სხვა ძირითადი აქტივები		0													368688
კულტივირებული აქტივები															
არამატერიალური ძირითადი აქტივები															
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი															
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები															
4. ფასეულობები	-	-													
ძვირფასი ქვები და ლითონები															
ხელოვნების ნიმუშები															
სხვა ფასეულობები															
5. არაწარმოებული აქტივები	5114	-													1726377
მიწა	5114														1726377
წიაღისეული															
სხვა ბუნებრივი აქტივები	-	-													
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია															
სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები															
არაწარმოებული არამატერიალური აქტივები															

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:
გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორი:
ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი


აუდიტორ-ასისტენტი:
თეა უდესიანი



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი კობრეიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი